საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 19299/1
14/11/2022

19299-1-2-202211141233

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

2022 წლის 4 ოქტომბრის N21/5871 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსების ტერიტორიასთან დაკავშირებით, შპს „უნივერსალ ენერჯი კორპორაციასა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაკიჯვარში და სოფ. ცხემლისხიდში მდ. ნატანების ნაპირდაცვითი სამუშაოების განმახორციელებელ საპროექტო-სამშენებლო კომპანიას შორის განხორციელდა კომუნიკაცია, რომლის თანახმადაც, შპს „უნივერსალ ენერჯი კორპორაციასგან“ მიღებულია თანხმობის წერილი „ნატანები 3“ ჰესის სანაყარო ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმეორებით გიგზავნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **წყალმომარაგების სისტემის სათავე ნაგებობის მდინარის ეროზიული პროცესებისგან დაცვის მიზნით, მდინარე ნატანების მარჯვენა (სოფ. ვაკიჯვართან) და მარცხენა (სოფ. ცხემლისხიდთან) სანაპიროებზე ნაპირ დამცავი ნაგებობების მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიშს** და მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ და გვაცნობოთ

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;

2. ელექტრონული (SHP) ფაილები;

3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების წერილი;

4. შპს „უნივერსალ ენერჯი კორპორაციასთან“ შეთანხმების წერილი N03/11-01;

5. შპს „უნივერსალ ენერჯი კორპორაციას“ წერილი N20/10-01.

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

დირექტორის მოადგილე